491.7/8
Ж-846

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან ნოდარის ასული შოშიაშვილი

გმირული ხასიათის კონცეფცია ნ.ა. ნეკრასოვის პოეტურ სისტემაში

10.01.02. - სლავური ლიტერატურები

ავტორეფერატი

დისერტაციისა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სემეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.

მეცნიერ - ხელმძღვანელი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. ხიხაძე

ექსპერტი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ფილინა

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი დ. ჯინჭარაძე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ც. ხახანაშვილი

წამყვანი ორგანიზაცია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნებათაშორისო ურთიერთობების ცენტრი

დაცვა შედგება 24. XII 1999წელს 12⁰⁰ საათზე

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოზე Р 10.01. С 5 სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 1.

ავტორეფერატი დაიგზავნა 13. XI 1999 წ.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თ. კიკაჩეიშვილი

— 1772 —

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა.</u> ნ. ა. ნეკრასოვის შემოქმედება ათწლეულების მანძილზე სრულიად სხვადასხვაგვარ შეფასებებსა და დავას იწვევდა. პოეტის, როგორც „ხალხის უბედურებით დამწუხრებულის“ აღფრთოვანებულ აღქმასთან ერთად, არსებობს ისეთი შეფასებებიც, რომელშიც იგი იხსენიება, როგორც ტენდენციური მელექსე, რომლის ნაწარმოებებსაც „პოეზიასთან არაფერი აქვს საერთო“.

ჯერ კიდევ ბ. მ. ეიჰენბაუმი წერდა: „დროა, ნეკრასოვს მივხედოთ“. მიუხედავად პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი გამოკვლევებისა, ეს ნათქვამი დღესაც აქტუალურია. სულაც არ გვიდნა დავამციროთ საბჭოთა ეპოქის ნეკრასოვოლოგების გამოკვლევები (მათ შორის ნეკრასოვის პოეტიკის შესანიშნავი ანალიზიც გვხდება), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის ლიტერატურათმცოდნეობა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენას განიცდიდა. ნეკრასოვი ძირითადად შეფასებული იყო, როგორც რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის წარმომადგენელი და მის შემოქმედებაშიც შესაბამისი თემატური მიმართულებები გამოიყოფოდა.

ყოველივე ეს იწვევდა ინტერესის განელებას ნეკრასოვის შემოქმედების მიმართ (რასაც წავწყდომივართ სტუდენტთა აუდიტორიებში: სტუდენტი-ფილოლოგები წინასწარგანწყობილად მსჯელობენ ნეკრასოვზე, როგორც რევოლუციური დემოკრატიის იდეების „რუპორსა“ და მქადაგებელზე - ასე ასწავლიდნენ მათ სკოლაში). უკანასკნელმა ათწლეულმა, „ისტორიული პარადიგმების“ ცვლილების დრომ, იქამდე მიგვიყვანა, რომ ნეკრასოვი ფაქტიურად დავიწყებული აღმოჩნდა - თითქოს ლიტერატურული პროცესიდან ამოვარდნილი იქნა. დამკვიდრდა აზრი, რომ ნეკრასოვი მოძველდა. მაგრამ ნიჭიერი ხელოვანის შემოქმედება არ შემოიფარგლება რაიმე იდეოლოგიური ჩარჩოებით. ნეკრასოვი, რა თქმა უნდა, თავისი დროისა და თაობის ადამიანი იყო, 60-70-იანი წლების - რუსული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში უძნელესი და თავისებური ეპოქის წარმომადგენელი. მაგრამ, როგორც ვცდილობთ ვაჩვენოთ, ნეკრასოვის პოეტური შემოქმედება მრავალი თვალსაზრისით აცდა იდეოლოგიურ პრაგმატიზმს, ნეკრასოვის უდავო პოეტური ძალა და დაუოკებელი, ჭეშმარიტი ნიჭიერება ახლებურ, იდეოლოგიური შტამპებისგან თავისუფალ მიდგომას საჭიროებს, რადგან იგი „მოქალაქეობრივი პოეტი“ კი არ არის, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, არამედ განსაკუთრებული პოეტური პიროვნული სამყაროს მქონე და განუმეორებელი პოეტური „მე“-ს შემოქმედი. ნეკრასოვის პოეტური სამყაროს გარეშე რუსული ლიტერატურა არა მარტო არასრულია